




გლობალური ბაზრების მიმოხილვა


გლობალური ბაზრები
პერიოდული
17 მარტი, 2021

- 10 მარტს, აშშ-ს კონგრესმა ჯო ბაიდენის \$1.9 ტრილიონის სტიმულირების პაკეტი დაამტკიცა, რაც აშშ-ს ისტორიაში ყველაზე მსხვილი ეკონომიკური დახმარების პაკეტია. პაკეტის ხელმოწერის შემდეგ ამერიკაში სააქციო ბაზრები კიდევ უფრო გაიზარდა. ბევრი ანალიტიკოსი მოელოს, რომ საცალო ინვესტორები მიღებული დახმარების დიდ ნაწილს კაპიტალის ბაზრებში დააბანდებენ. დოიჩე ბანკის კვლევის თანახმად, ამ მაჩვენებელმა შესაძლებელია \$30 მლრდ-ს მიაღწიოს.
- აშშ-ს 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციის შემოსავლიანობა ისევ მაღალ ნიშნულზე ნარჩუნდება. მარტში შემოსავლიანობა ამერიკის კორპორატიული ობლიგაციებზეც გაიზარდა (ობლიგაციის ფასი და შემოსავლიანობა უკუპროპორციულია). ანალიტიკოსების მოსაზრებით, დაფინანსების გაძვირებამ, შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს ამერიკის ეკონომიკის გაჯანსაღებაზე.
- საერთო ჯამში, გლობალური კაპიტალის ბაზრებისთვის მარტი საკმაოდ კარგად დაიწყო. S&P 500 ინდექსი მარტის პირველ 2 კვირაში 4.1%-ით გაიზარდა, ხოლო დოუ ჯონსის ინდექსი კი იმავე პერიოდში 6.5%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ინვესტორების ყურადღების ქვეშ ენერჯეტიკის და საფინანსო სექტორები მოექცა. ენერჯეტიკის კომპანიებზე დადებითი გავლენა ერთი მხრივ გაუმჯობესებულმა ეკონომიკურმა მოლოდინებმა, მეორე მხრივ კი ნავთობის მზარდმა ფასებმა იქონია. 2021 წელს საერთაშორისო ბაზრებზე ბანკებმა საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენეს (მსოფლიო MSCI ინდექსში შემავალი ბანკების ღირებულება 2021 წელს 20%-ით გაიზარდა). აშშ-ი საპროცენტო განაკვეთების ზრდა ამცირებს „მზარდი“ (Growth) კომპანიების ღირებულებას (რადგან მცირდება მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება) და ინვესტორების ინტერესდებას value კომპანიებით. შედეგად, ტექნოლოგიური კომპანიებით შემდგარი NASDAQ ინდექსი 8 მარტისთვის 4.4%-ით დაეზარდა. თუმცა, მოგვიანებით, ფასები გაიზარდა და საბოლოო ჯამში მარტის პირველ ნახევარში 2.0%-იანი ზრდა აჩვენა.


S&P 500 (აშშ)




Dow Jones Industrial Average (აშშ)




NASDAQ (აშშ)




STOXX 600 (ევროპა)



FTSE 250 (ლონდონი)



Emerging Markets Index
(განვითარებადი ქვეყნები)



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2021 წლის 15 მარტის მდგომარეობით




- ევროზონაში სესხის საპროცენტო განაკვეთების ზრდის შემდეგ (რაც ამერიკაში სახაზინო ობლიგაციებზე გაზრდილ შემოსავლიანობას უკავშირდება), საპროცენტო განაკვეთების სწრაფი ზრდის შესაჩერებლად ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ბონდების შესყიდვის პროგრამის ტემპის დაჩქარება გადაწყვიტა. ამ სიახლის შემდეგ გერმანიისა და იტალიის სახელმწიფო ობლიგაციებზე შემოსავლიანობა შემცირდა. ცენტრალური ბანკის განცხადებამ ასევე დადებითი გავლენა იქონია ევროპულ აქციებზე, კერძოდ მარტის პირველ ორ კვირაში STOXX 600 4.5%-ით გაიზარდა, ხოლო FTSE 250 იმავე პერიოდში 2.9%-ით გაიზარდა.
- ჩინეთში მარტის პირველ ნახევარში Shanghai Composite ინდექსი 2.5%-ით შემცირდა, რაც 7.5%-ით დაბალია თებერვალში მიღწეულ ისტორიულ მაქსიმუმთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ საფონდო ბაზრებზე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ეკონომიკურ მონაცემებს. 2021 წლის პირველ ორ თვეში ჩინეთიდან ექსპორტი წლიურად 60%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი იმავე პერიოდში 22%-ით გაიზარდა, რაც ეკონომიკის მნიშვნელოვან გაჯანსაღებაზე მიუთითებს.
- იაპონია, რომლის საფონდო ბირჟები უფრო მეტადაა დაკავშირებული ამერიკისა და ევროპის ფინანსურ ბაზრებთან, მარტის პირველ ნახევარში გაიზარდა (Nikkei 225 ინდექსმა 2.8%-იანი ზრდა აჩვენა).

ნავთობი და ოქრო

- ნავთობის ფასების ზრდა მარტის პირველ ნახევარშიც გაგრძელდა. 2021 წლის 15 მარტისთვის Brent-ის ტიპის ნავთობის ფასმა ბარელზე \$68.9-ს მიაღწია, ხოლო WTI-ის ტიპის ნავთობის ფასმა კი \$65.4 შეადგინა.
- მარტის პირველ ორ კვირაში ოქროს ფასები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. 2021 წლის 15 მარტის მდგომარეობით ტროის უნციაზე ფასმა \$ 1,732 შეადგინა.

Volatility/მერყეობა ბაზარზე

- მარტის პირველ 2 კვირაში აშშ-ს, Cboe Volatility (მერყეობის) ინდექსის, VIX-ის, შემცირდა და 15 მარტის მდგომარეობით 20-ის ნიშნულს მიაღწა.



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2021 წლის 15 მარტის მდგომარეობით

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიჩანიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვებოდეს, როგორც ზარების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაეცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გაეცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის უფროსი

ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი

ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,

საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge